# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის  შეფასების შედეგები

2025

# შინაარსი

- შესავალი
- მიზანი
- კვლევის საგანი
- კვლევის მოსალოდნელი შედეგი
- კვლევის პროცესის აღწერა
- შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაცია

# შესავალი

- თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კოლეჯში ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომელიც უშუალო კავშირშია განათლების ხარისხთან და სტუდენტთა პროფესიულ მზაობასთან.
- ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია, რომელიც მუდმივად განახლდება და რეფლექსიას ემყარება. ეს პროცესი მოიცავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის შეფასებას, არამედ მისი ეფექტურობის სისტემურ ანალიზს და უწყვეტ გაუმჯობესებას. კოლეჯში მოქმედებს რეგულარული მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოიცავს: მონაცემების პერიოდულ შეგროვებას სხვადასხვა წყაროებიდან, შედეგების სისტემურ ანალიზს კომპლექსური მიდგომით, ანალიზის საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას.

# კვლევის მიზნები

- საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურობის შეფასება;
- პროგრამის დამამთავრებელი კურსის  უკუკავშირის ანალიზი;
- პროფესიული პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებების იდენტიფიცირება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უწყვეტობა;

# კვლევის საგანი

- წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია 2021 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაზე. ამ პროგრამის სტუდენტებმა წარმატებით დაასრულეს სწავლა და კოლეჯისთვის მათი უკუკავშირი მნიშვნელოვანია, ამიტომ ხარისხის მენეჯერი მიერ დაიგეგმა კვლევა პროგრამის შეფასების მიზნით.
- აღსანიშნავია, რომ პროგრამა იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, თუმცა მისი რეალური ეფექტურობა მოითხოვს საფუძვლიან ანალიზს, რადგან ეს საშუალებას იძლევა: განვსაზღვროთ პროგრამის ძლიერი მხარეები და გამოწვევები, შევაფასოთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში გადატანის ეფექტურობა, გავაანალიზოთ პროფესიულ პროგრამაში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობები პროფესიულ საქმიანობაში.

# კვლევის მოსალოდნელი შედეგი

- კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს კოლეჯში პროფესიული განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რაც საბოლოოდ უკავშირდება ჯანდაცვის სისტემის განვითარებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლებას.

# კვლევის პროცესია აღწერა

- კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, 2025 წლის ხარისხის გეგმის შესაბამისად . გამოკითხვა განხორციელდა google.doc-ის მეშვეობით. გამოკითხვის დროს დაცული იყო თითოეული პროფესიული სტუდენტის კონფიდენციალურობა. სტუდენტებს google.doc ლინკი მიეწოდათ დახურულ facebook ჯგუფების მეშვეობით და მიეცათ ორი კვირის ვადა, რომ შეევსოთ კითხვარი. კითხვარი ითვალისწინებდა ღია და დახურული ტიპის კითხვებს.
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2021 წლის ჩარიცხულმა 28 პროფესიულმა სტუდენტმა, რაც წარმოადგენს ამავე ჩარიცხვის პროფესიულ სტუდენტნტთა კონტინგენტის 100%-ს.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება

კვლევის შედეგები

2025

# 1. პროგრამა იძლევა ხარისხიანი განათლების შესაძლებლობას.



# 2.პროგრამაში შემავალი სწავლის კომპონენტების შესწავლა მნიშვნელოვანია



# 3.პროგრამის ცოდნის გამოყენება შესაძლებელია პროფესიულ საქმიანობაში



# 4. პროგრამის ფარგლებში დასაქმების შესაძლებლებლობები ჩემთვის ცნობილია



# 5.პროგრამაზე დაშვების წინაპირობა თანმიმდევრულია და აადავილებს პროგრამის შესწავლას



# 6.თეორიული და პრაქტიკული სწავლების საათობრივი დატვირთვა შესაბამისია



# 7. პროგრამისათვის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში



# 8.პროგრამის შესწავლისათვის სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია



# 9.კოლეჯის შესახებ ინფორმაცია გავიგე



# 10 . პროგრამაზე ჩავაბარე იმიტომ, რომ:



# 11. ჩართული იყავით კოლეჯის დაგეგმილ ღონისძიებაში



# 12. ვესწრებოდი კოლეჯის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე (შეგიძლია აირჩიოთ რამოდენიმე)



# 13. კოლეჯი იცავდა ჩემს უფლებებს და მხარში მიდგა გამოწვევების დროს



# 14.კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას



# გთხოვთ დაწერეთ რჩევა რა უნდა გაითვალისწინოს კოლეჯმა პროფესიული პროგრამის განვითარების კუთხით

- წარმატებები;
- საუკეთესოები არიან, მადლობელი ვარ გვერდში დგომისთვის და განვითარებისთვის;
- ყველაფერში კარგები ხართ;
- ონლაინ სწავლებაც რომ დაემატოს უფრო აიწევს ხარისხი სწავლის. მეტი ორგანიზებაც კარგი იქნება;
- ონლაინ სწავლას;

# გთხოვთ დაწერეთ რჩევა რა უნდა გაითვალისწინოს კოლეჯმა პროფესიული პროგრამის განვითარების კუთხით

- მეტი პრეზენტაციის ჩატარება;
- კოლეჯს მადლობას უხდი სტუდენტების გვერდში დგომისთვის;
- მაგალითად, კარგი იქნება თუ ონლაინ სწავლების შესაძლებლობაც იქნება;
- ჩატარდეს მეტი პრეზენტაციები;
- საუკეთესოები ხართ;
- ონლაინ სწავლა რომ იყოს;
- ფანჯრებზე საჭიროა ჟალუზები
- საჭიროა მეტი ყურადღება და რესურსი დაეთმოს სტუდენტების გასვლითი პროგრამების დაფინანსებას.

# დასკვნა

- კვლევის შედეგები აჩვენებს ძალიან მაღალ კმაყოფილების დონეს პროფესიული სტუდენტთა მხრიდან პროფესიული განათლების ხარისხის მიმართ;
- განათლების ხარისხი: 100% სტუდენტის პოზიტიური შეფასება (48,4% ეთანხმება, 51,6% სრულიად ეთანხმება);
- პროფესიული პროგრამის შინაარსობლივი სწავლების მნიშვნელობა: 100% თანხმობა;
- კომპონენტების საჭიროებაზე პრაქტიკული გამოყენებადობა: 100% ეთანხმება, რომ ცოდნა გამოსადეგია პროფესიულ საქმიანობაში;
- კოლეჯში პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა და მხარდაჭერა: 93,5% დადებითი შეფასება
- ინიციატივების მხარდაჭერა: 87,1% დადებითი პასუხი;
- აქტიური ჩართულობა: 83,3% სტუდენტი აქტიურად ჩაერთო ღონისძიებებში;
- ბიბლიოთეკის რესურსები: 96,7% პოზიტიური შეფასება;
- სასწავლო რესურსები: 96,8% ხელმისაწვდომობა;
- პროგრამისა და კოლეჯის შესახებ სტუდენტმა გაიგო პირადი რეკომენდაციები: 41,9% ახლობლისგან, 12,9% ოჯახის წევრებისგან რეგიონული ცნობადობა: 19,4%;

# რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია ჰიბრიდული სწავლების მოდელის დანერგვა, ციფრული პლატფორმების განვითარება, ონლაინ რესურსების გაფართოება, ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება სასწავლო ოთახებში სასწავლო გარემოს კომფორტის გაზრდის მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელების მხრიდან სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ ჩატარდეს მეტი პრეზენტაციები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო გამოსვლის უნარების განვითარებას;
- კვლევის შედეგები მიუთითებს პროფესიული განათლების მაღალ ხარისხზე და სტუდენტთა თითქმის სრულ კმაყოფილებაზე. თუმცა, ონლაინ სწავლების ინტეგრაცია და გასვლითი პროგრამების განვითარება შეუწყობს ხელს ინსტიტუციის შემდგომ განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.